ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი # 3

ქ. ონი 27. 03. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე სერგო ლობჯანიძე.

სხდომას 12 წევრიდან ესწრებოდა 9 წევრი: სერგო ლობჯანიძე, მამუკა ყავლაშვილი, გივი მეტრეველი, ვასილ მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, რევაზ საბანაძე, შალვა კახეთელიძე, შუქურა ჯაფარიძე, ლევან ორდინიძე.

არ ესწრებოდნენ : თამაზ მეტრეველი, ზურაბ ბენდიანიშვილი, ნოდარ ბურდილაძე.

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხები:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

2. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

/მომხს. სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: 1.ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ და აღნიშნა, რომ 2022 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი კარგია, თუმცა მეტი ძალისხმევაა საჭირო, რომ ის პრობლემები, რაც გასულ წელს სხვადასხვა პროექტების პროექტირების, შესრულებისა და ხარისხის კუთხით არსებობდა, არ განმეორდეს მიმდინარე წელს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

/მომხს. სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი ინფორმაცია და მხარი დაუჭირეს საკითხის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სერგო ლობჯანიძე

კომისიის თავმჯდომარე